წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — შაბათი, 7 მაისი 1916 წ. — № 102

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... კ., უკანასკნელზე ... კ. ... გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

2 მაისს, დილის 4 საათზე განისვენა მგოსანმა

## ИРОДИОН ЭВДОШВИЛМА — იროდიონ ევდოშვილმა

რასაც გულისკვნესით აუწყებს ქართველ საზოგადოებას

**„საქართველო“-ს რედაქცია**

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

თავზარდაცემული **მარიამ ივანეს ასული, ვანო, თამარ, ბეტა და ნინა ევდოშვილები და ევა ნოდარის ასული ჯანყარაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2 მაისს, გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა და მესამესი—დაუვიწყარი სიძე

**იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი-ევდოშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სად. 7 ს.

---

**„თეატრი და ცხოვრების“** რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 2 მაისს, დილის 4 სათ. თბილისში გარდაიცვალა

**მგოსანი ირ. ევდოშვილი**

---

მწუხარებით გულდამწვარი **ბაბილინა ისაკის ასული და ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობმეგობართ, რომ 2 მაისს დილის 4 საათზე მიიცვალა მათი უსაყვარლესი პირველისა ძმა, მეორისა ცოლის ძმა

**იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილი-ხოსიტაშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

გულმოკლული **პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი და მისი მეუღლე ნინო** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს, დილის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი ძმა მეორისა მაზლი

**იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი**

პანაშვიდები ყოველ დღე სად. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

**იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი-ევდოშვილი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა თომა ისაკის ძე, რძალი ოლღა დავითის ასული შვილებითურთ.**

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

**იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი**

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **სიდედრი ევა ჯანყარაშვილისა, ცოლის ძმა მიხეილ ივანეს ძე ჯანყარაშვილი ცოლშვილით.**

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე, დები: ანნა ნახუცრიშვილისა, მარიამ კანდელაკისა, ნატალია თოთიბაძისა, ანასტასია ექვთიმიშვილისა და რძალი ნინა რომანოზის ასული ბაქრაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 მაისს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი **ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში** პირველთა საყვარელ ძმისა, მეორესი ძვირფას მაზლისა და უკანასკნელთა დაუვიწყარ ბიძისა

**ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძისა,**

რომელიც გარდაიცვალა 28 აპრილს, ქ. არდაგანში.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 1—173—1

**ვაგზლის სამკურნალოში**
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
)თ.—126—24)

**მოდური მაღაზია**
**მ. ბაშარულისა**
**სასახლის ქუჩაზე**
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
**მხოლოდ ევროპიული**
(—83—)

**აბასთუმანი**
**სასტუმრო „მინერალნია ვოდი“**
გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც. სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
(8-163-4) სასტუმროს პატრონნი ჩიკვაიძე და გეგიაძე.

**7 მაისს, 1916 წელს**
**სახალხო სეირნობა**
არტისტიულ საზაფხულო სადგომში (მიხეილის ქ. № 113)
ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების
**ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ**
დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
**ახალი აფთიაქი**
-◆-პროვიზორის ახვლედიანისა-◆-

**დ. ზესტაფონში**
**ექიმი**
**დ. კ. მაჭავარიანი**
5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**სტუდენტები**
ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

**ქ. ბაქოში**
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

**საუკეთესო კახური**
**ღვინის საწყობი**
**ადამ ზურაბის ძის**
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**საგალანტერიო მაღაზია**
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**დოქტორი მედიცინისა**
**მოსე ანთიმოსის ძე**
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

**ექიმი**
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
**ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**ექიმი-დოსტაქარი**
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 5 მაისი. ოფიციალი. **დასავლეთის ასპარეზი.** პულკარინის, ოლიკის და ოლექსინცის მიდამოებში მტერი შეეცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოვებოდა, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მიმართულებით მოწინავე რაზმების ბრძოლაა.

---

**რომი,** 4 მაისი. შტაბის ცნობა 1 მაისს, ტრენტინოს საზღვართან მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერმა ადიჟე და მდ. ასტიკოს მიდამოებში იერიშები მოიტანა. პირველ შეტაკების შემდეგ, როდესაც მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ, ჩვენ უკან დავიხიეთ გამაგრებულ ადგილებში. ზღვის ნაპირებამდე მტერი ზარბაზნის სროლას აძლიერებს. მონტეკოლოს სანტაანასთან და სხვა ადგილებშიც მტერმა იერიშები მოიტანა, მაგრამ უნაყოფოდ. მონფალკონეს მიდამოებში საშინელი ბრძოლა მოხდა, აქ ხელთ ვიგდეთ 254 ტყვე, რამდენიმე აფიცერი და ორი ტყვიის მფრქვეველი. ამავ ადგილებში ავსტრიელთა და იტალიელთა მფრინავებიც მოქმედებენ.

**პარიზი,** 4 მაისი. დღის ცნობა. შამპანში და დუტმენილის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. არგონებში, ფილმორტისთან სანაღმოსნო ბრძოლა მოხდა. მაასის მარცხენა ნაპირზე, ჩვენს მოწინავე ხაზებს მტერი ყუმბარებს უშენდა. მორტჰომის სიმაღლესთან გერმანელების იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარა. მარჯვენა ნაპირზე, ოდრემონის ტყის და ვოს ტყის შუა, არტილერია მხნედ მოქმედობდა. თიომონის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ საყარაულოზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მალე დავაბრუნეთ. 4 მაისს ღამით, ჩვენმა 13 მფრინავმა დამვილერ-ბინდევანშომანში 24 ყუმბარა ჩამოყარეს. 11 ყუმბარა ჩამოაგდეს ფლერზე და ბრიელის სადგურზე, 14—ნანტილუა და რომანში, 21—აპრემონის სადგურზე და გრანტპრეზე. ყუმბარებმა რამდენიმე ადგილას ცეცხლი გააჩინეს. ვიქსიურენის ჩრდილოეთით გერმანელთა მფრინავი ჩამოვაგდეთ. იმავე ღამეს, 200 ყუმბარა ჩამოვაგდეთ არსზე და მეცსე, 40—რესკატის სადგურზე, 40—არნავილის სადგურზე და 30—მეცის-თიონვილის რკინის გზაზე.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ამერიკა და გერმანეთი.**

გაზ. „Matin“-ი სწერს: გერმანეთი დიპლომატიურად დამარცხდა, საინტერესოა, როგორ შეჰხვდებიან მას მთავრობა და რეიხსტაგი, რომელნიც ამ ერთი თვის წინედ დიდ აღტაცებაში იყვნენ წყალქვეშა გემების გამარჯვებით.

„Dailu Telegraph“-ი ამბობს: უკანასკნელ ხანებში, გერმანეთი სცდილობდა თავისი „მშვიდობიანი“ გეგმით ნეიტრალ სახელმწიფოების აღელვებას ამას ჰმოწმობს ვილჰელმის წერილი ვილსონთან.

**გერმანელებო ნაროჩისკენ.**

უკანასკნელად მოსული ცნობით, ნაროჩის ტბის მიდამოებში ბრძოლა შესწყდა და სიჩუმის ხანა დადგა. უმოქმედობენ არა მარტო მფრინავები, არამედ არტილერიაც. წარსულ ბრძოლის დროს, გერმანელებმა მხოლოდ რამდენიმე ადგილას დაიჭირეს რუსების თხრილები; ეხლა კი ნელ-ნელა იშლებიან და ნაროჩის ტბასთან მოქმედებას გათავებულადაც სთვლიან.

**ავსტრია-გერმანეთის ჯარი რუსეთის ასპარეზზე.**

უკანასკნელ ხანებში გამოირკვა თუ რა ძალას წარმოადგენს ავსტრია-გერმანელთა ჯარი რუსეთის ასპარეზზე. რიგის სრუტიდან პრიპიატის ტბამდე სდგას გერმანეთის ჯარი და მე-12 კორპუსი ავსტრიელებისა. პოლესიის ჩრდილოეთით, რუმინეთის საზღვრებამდე მოქმედობს რამდენიმე დივიზია ავსტრია-გერმანელებისა. რიგის სრუტიდან ფრიდრიხშტატამდე გერმანე-

[illegible]

რაზედაც ამ რვა თვეში რამდენიმე ათი ათასი ყუმბარა დახარჯეს. ასპარეზზე ჩამოცხა. რიგის არემარეში მინდვრის მუშაობა გათავდა. განსაკუთრებით მუშაობენ ქალები და ბავშვები.

**პოლონეთში.**

უკანასკნელ თვეში, ქ. ლოძში სახადით 500 კაცი გარდაცვლილა. მოსავალს წრეულს კაი პირი უჩანს და დიდს იმედებსაც აძლევს განადგურებულ პოლონელებს. გერმანელები ამუშავებენ ბავშვებს, ქალებს და მოცლილ კაცებს დღეში ათ შაურად. მაღალი წოდება კი მუშაობისგან განთავისუფლებულია, რის მაგივრადაც გადაჭრილ გადასახადს იხდიან.

**საბერძნეთი და იტალია.**

სამხრეთ ალბანეთში ვალონის მიდამოებში ბერძენთა ჯარი თავს დაესხა იტალიელთა მცირე რაზმს. ამ შემთხვევამ იტალიაში აღელვება გამოიწვია. იტალიის მთავრობამ ოფიციალი გულის წყრომა გამოუცხადა საბერძნეთს. ცნობები მოვიდა პეტროგრადიდან, საბერძნეთის მეფეს მიუღია იტალიის ელჩი გრ. ბოსდარი, რომელსაც განუცხადა: ბერძნებ და იტალიელების შეჯახებას განიხილავს და დამნაშავეთ დასჯის. იტალიის მთავრობა იმით დაკმაყოფილდა და მით უთანხმოება მოისპო.

**რუმინეთის მეფე ფერდინანდი.**

სოფიიდან ბუქარესტში იტყობინებიან: ავსტრია-გერმანელებს გადაუწყვეტიათ უმაღლეს მთავარ სარდლობა ბალკანეთზე ფერდინანდს ჩააბარონ, გარდა ამისა მას გენერალისიმუსის სახელი უბოძეს. ფერდინადის შტაბი გერმანეთის მთავარ შტაბის ახლოს იქმნება.

როგორც ირწმუნებიან ფაქტიური მთავარ სარდლობა მაინც ფელდმარშალ მაკენზენის ხელში იქმნება. ბულგარეთის მთავარი შტაბი, რომელსაც კიუსტენდილეში იმყოფება, გაუქმდება. ეხლანდელი გენერალისიმუსი ბულგარეთის ჯარისა ჟეკოვი დაინიშნება ბალკანეთის ჯარების სარდლად.

**ბაღდადის ასპარეზი.**

როგორც მოსალოდნელი იყო ბაღდადის ასპარეზზე ოსმალებს მაშველი ჯარი მოსდით, რომელშიაც ავსტრია-გერმანელებიც ურევიან. ქასრი-შირინში დატოვებული ავსტრიელ სისტემის იარაღი ამტკიცებს რომ მოკავშირეები ჯართან ერთად იარაღსაც უგზავნიან. დღეს ოსმალეთის ყურადღება მიმართულია ბაღდადისკენ, სადაც ახალ-ახალ ძალას და იარაღს თავს უყრიან. სარწმუნოებამ ამოჰხეთქა ოსმალების გულში და ბაღდადის გულისთვის უკანასკნელ სისხლს დაჰღვრიან. რუსებს მეტად მძიმე პირობებში მოუხდებათ ბრძოლა რადგან სასტიკი წინააღმდეგობის გარდა ატმოსფერის მძიმე პირობებიც ხელს უშლით. მესოპოტამიაში დიდი სიცხეები იცის და იქაური მაისის სიცხე ხომ წარმოუდგენელია. გარდა ამისა, ბაღდადის აღებაც მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც, ოსმალეთის არმია მთლად განადგურდება. იგი კი ჯერჯერობით სასურველ დონეზე სდგას და ნელა-ნელა ასწორებს წარსულის შეცდომებს.

**ვერდენი.**

„Norddeutsche Allg. Zeitung“-ი სწერს: ვერდენის ბრძოლა ახალ-ახალ კაბადონებს გადაჰშლის ისტორიის ფურცლებზე. ამიერიდან, ჩვენ გაჩვენებთ ისეთს ომს, რანაირიც არც წინედ ყოფილა და არც ეხლა სწარმოებს. ვერდენის ომის მიზანს ფრანგ-ინგლისელები მხოლოდ მომავალში მიჰხვდებიან, მისი დღევანდელი მიზანი კი არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს: გერმანელებს ჰსურთ: ჯერ დაჰქანცონ მტრის არმია და მერე იგი ერთის დაკვრით გაანადგურონ.

**ბრძოლა ვერდენთან.**

გერმანული გაზეთი „Post“ სწერს: აღმოსავლეთ ასპარეზზე ვერდენთან ფრანგებს მრავალი ზარბაზნებისთვის მოუყრიათ თავი. მათ ეს პირობები საშუალებას აძლევს გაამაგრონ სიმაგრეები, რადგანაც ფრანგთა შორის მტყორცნელი ზარბაზნები ხელს უშლიან გერმანელებმა იერიშები გააძლიერონ.

თვით გერმანელთა ცნობით, მათმა ერთმა 87 პოლკმა, რომელიც მე-18 კორპუსში შედის, დაჰკარგა სულ 2.070 კაცი. საზოგადოთ ვერდენთან გერმანელები სასტიკად იბრძვიან და არავითარ ძალას არ ერიდებიან, ოღონდ კი მათ მიზანს მიაღწიონ.

## ბრძოლის ველზე

მთავარ ყურადღებას დღევანდლამდე ისევ კავკასიის ასპარეზი იპყრობს. ეტყობა ორივე მხარე საკმაოდ მომზადებულან და ახლა უკვე საერთო იერიშებზედ გადადიან. დღევანდელი ოფიციალი დეპეშა გვატყობინებს, რომ დიარბექირის მიმართულებით მოწინავე რაზმების შეტაკება დაიწყო. ამ შეტაკებას დიდი ბრძოლა მოჰყვება და ჩვენც ახლო მომავალში გავიგებთ მის შედეგს. რაც შეეხება დასავლეთის ბრძოლის ასპარეზს, აქ ისევ ჩვეულებრივი პატარ-პატარა შეტაკებები ხდება. ძნელია იმის გამოცნობა, თუ სად ან ვინ დაიწყებს მთავარ ოპერაციებს.

X.

## თბილისი, 7 მაისი.

**ბრძოლა ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ**

სამეგრელოდან მეტად სამწუხარო ამბები მოდის. ტყეში გაჭრილი ავაზაკები არავის ინდობენ. თავს ესხმიან ობლებსა და ქვრივებს. თავს ესხმიან და ძარცვავენ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს. თავს ესხმიან შარა-გზაზედ მგზავრებს, თავს ესხმიან შინაც, ოჯახებში. ეს სამწუხარო მოვლენა მეორე წელიწადია რაც არსებობს და მას არამც თუ განელება არ ეტყობა, არამედ მატულობს კიდეც. პოლიცია მეტ შემთხვევაში ხმას არ იღებს. ყოფილა ბევრი შემთხვევა, რომ ბოროტმოქმედება მისთვის დროზედ უცნობებიათ, და რომ ის სასწრაფოდ არ დაძრულა. და ბოროტმოქმედების ადგილზე მხოლოდ მაშინ მოსულა, როდესაც ყველაფერი გათავებულა და ავაზაკებიც მიმალულან. პოლიციის ასეთი უმოქმედობა საზოგადოებაში დიდს მითქმა მოთქმას იწვევს და რადგანაც თვით მას წართმეული აქვს ყოველგვარი საშუალება თავის თავის მოვლა-პატრონობისა, მთელი საზოგადოება უმწეობას განიცდის და ავაზაკთა საწიწკნად არის დარჩენილი. ეს ძარცვა-გლეჯა და თავდასხმა განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრაშია გავრცელებული. საინტერესოა ვიცოდეთ ადგილობრივი მაზრის უფროსი რა ღონეს ღონობს ხალხის კეთილდღეობის ასეთი აშკარა საფრთხის წინააღმდეგ. აუცილებელია რაიმე განსაკუთრებული ზომის მიღება. აუცილებელია ფართე საზოგადოების ნდობის მოხვეჭა და ადმინისტრაციისა და საზოგადოების ღონისძიების შეერთება. საერთო ენერგიული ბრძოლა ამ ქვეყნის ნამდვილი ბოროტების აღმოსაფხვრელად.

## დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**დღეს, 5 მაისს, სომეხთა მოყვარე გაზეთ „რეჩ“-ში მოწინავე წერილია მოთავსებული, სადაც ნათქვამია: „თბილისის საერობო თათბირზე შესდგა შეკავშირებული უმრავლესობა ქართველ და მუსულმან თავად-აზნაურობისა, რომელიც კრებას თავის სურვილებს უკარნახებს. რადგანაც კარგად იციან, რომ 90 წლის ერობა შეუწყნარებელია, სასურველად მიიჩნიეს იგი ძირითად კანონთა 87-დე მუხლის ძალით განხორციელდეს, რაც ულრმესად შეურაცხმყოფელია რუსეთის საზოგადოებისა. ეს ჰმოწმობს, რომ ქართველ თავადებს და მუსულმან ბეგებს ეჭვი შეაქვთ თავის სამართლიანობაში და დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ნებას არ მისცემს მათ ფეხქვეშ გასთელონ დემოკრატიულ ნაწილის ინტერესები.**

**წოდებრივ კურიების მოთხოვნით თავად-აზნაურობის ბლოკი უზრუნველჰყოფს მათთვის თვალსაჩინო სომეხთა ერზე ბატონობას, რომელსაც თავად-აზნაურთა უმრავლესობა არ გააჩნია. სათათბირო არ შეიწყნარებს ასეთს პროექტს და სწორედ ამის გამო წამოაყენეს მათ 87 მუხლი.**

—

**რუსეთის დელეგაციას ლონდონში წარუდგენ სომხების წარმომადგენლები ინგლისიდან, ინდოეთიდან, ოსმალეთიდან, იავიდან და სპარსეთიდან მადლობა გადაუხადეს დახმარებისათვის და განუცხადეს: „გვრწამს, რომ სომხეთი საბოლოოდ მოეწყობა, მშვიდობიანი კავკასია მოგვანიჭებს აყვავებულ და გაფურჩქვნილ სომხეთს“. გურკომ უპასუხა: რუსეთის ყველა ეროვნებათა მყუდრო ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნება.**

—

**სინოდმა მიიღო სამიტროპოლიტოების აღდგენის პროექტი და დაადგინა ეს ცვლილება უმაღლესი მთავრობის მეოხებით განხორციელდეს.**

ლ. ჯ;

# იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო

**მეორე კრება დამკრძალავ ბიუროსი.**

5 მაისს, $12^{1}/_{2}$ ს. „ნაკადულის“ რედაქციაში მოხდა დამკრძალავ ბიუროს მეორე კრება, სოფ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით.

ბიურომ მოისმინა 4 მაისის კრების ანგარიში. ამის შემდეგ ქ-მა ნ. ნაკაშიძისამ განაცხადა: დღეს ჩემთან შემოვიდა ჟურ. „ეშმაკის მათრახის“ წარმომადგენელი ბ. ბუკია, რომელმაც დამავალა გადმომეცა, რომ იგი ამოშალონ ირ. ევდოშვილის დამკრძალავ სიიდან, რომელზედაც წინათ ხელი მოაწერა სხვა ჟურნალ-გაზეთების და ქართულ კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად. ბ. ბუკიას განცხადება კრებამ მოისმინა და სიიდან ამოშალეს.

**ბიუროს დადგენილებანი.**

1) ბიურომ მიიღო ალ. შანშიაშვილის წინადადება და ნაცვლად სამგლოვიარო ეტლისა, დაკრძალვის დღისთვის მოამზადებენ საკაცეს, რომელიც შემკული იქმნება ყვავილებით. ქვაშვეთის ეკლესიიდან ირ. ევდოშვილს დიდუბის პანთეონში ხელით წაასვენებენ.

2) ბიურომ ამოირჩია საგანგებო კომისია სამი კაცისაგან შემდგარი: სოფ. მგალობლიშვილი, ალ. შანშიაშვილი და ა[illegible]. ლორთქიფანიძე, რომელთაც დაევალა საკაცე-კუბოს და ყვავილების თადარიგი.

3) დაადგინეს: აეკრძალოს კერძო პირთ თუ დაწესებულებებს ირ. ევდოშვილის სურათებისა და ნაწარმოების გამოცემა-გაყიდვა პანაშვიდების და დაკრძალვის დღეს, ბიუროს ნებადაურთველად და დაუკითხავად.

4) გვირგვინი ერთი იქმნება, წარწერით **ქართველ საზოგადოებისაგან**, რომელსაც ახალგაზდა მგოსნები წაიღებენ.

5) ბიუროს კრებები ყოველ დღე 8 საათ. „ნაკადულის“ რედაქციაში მოხდეს.

—

ყოველი ცნობის მიღება მგოსნის დაკრძალვის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს ყოველ დღე „ნაკადულის“ რედაქციაში შუადღის 12—3 საათ. და საღამოს 5—7 საათ.

**ბიურო მოუწოდებს ქალ-ვაჟთ დახმარება გაუწიონ ირ. ევდოშვილის დაკრძალვის დღეს მის სურათების და წიგნების გაყიდვაში.** მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ „ნაკადულის“ რედაქციაში.

შეწირულებანი მიიღება დამკრძალავ ბიუროს ხაზინადრის ივ. ნიკ. ზედგინიძის სახელობაზე: თბილისი „მეურნეს“ საზოგადოება, ძველ სემინარიის შენობაში.

შეწირულებანი აღუთქვეს შემდეგმა დაწესებულებებმა: თბ. ქართულმა ბანკმა 200 მან., „სახ. ფურც.“ რედ.—100 მან., „ნაკადულის“— რედ.—50 მ.. „ხარფუხის“ კლუბმა—50 მ., წ. კ. გამ. საზ.—100 მ. ამათგანმა ზოგმა ფული უკვე გადასცა ხაზინადარს.

შაბათს ეპის. ანტონის და მისი სამღვდელოების თანამსახურებით ქვაშვეთის ეკლესიაში, 8 საათზე გარდახდილ იქმნება პანაშვიდი.

## დეპეშები

**ლაგოდეხი.** ულრმესად დაგვამწუხრა ქართულ პოეზიის სიამაყის და ქართველ დემოკრატიის მოსარჩლე, საყვარელ იროდიონის გარდაცვალებამ.

გოცირიძე, საქარიდიდელი. მარო ცობაძე, ალავერდაშვილი, ემხანაშვილი, ნადეჟდა დონჟაშვილი, სულაქველიძე, ნარინდაშვილი, გოდერძიშვილი მოსტაშვილი, მარიან და იოსებ ჩხატერაშვილი, ქურდაშვილი.

—

**ხაშური.** უგულითადეს, მწუხარებას ვაცხადებ ჩვენი ძვირფასი და საყვარელი იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალების გამო.

ნიკო სიხარულიძე

**ერევანი.** ჯერ არ მიმწყდარა გლოვის ზარი აკაკისა და ვაჟას გარდაცვალებისა და უწყალო ბედმა გამოგვტაცა ევდოშვილიც. განუსვენოს მებრძოლ მომღერალს, რომელიც უდროოდ ჩამოიღვენთა სამშობლოს სამსხვერპლოზე

დუტუ მეგრელი.

**ს. პატარძეული.** ალბათ ღმერთი გაგვიწყრა რომ ჭირს-ჭირი დაერთო და ნაღველი გვიასკეცდება.

გვახსოვს ტირილით ვაცილებდით აკაკის...

ვგლოვობდით ვაჟას ადრე ჩამოტეხილ ფრთებს ეხლა-კი, ბედმა გვარგუნა ცხარე ცრემლებით გავყვეთ ევდოშვილის ძვირფას კუბოსაც.

მოსწავლენი:

**თამარ, ნინო და ლიზა ლეონიძეები.**

—

**თელავი.** თელავის ქართველი საზოგადოება ულრმესად დაამწუხრა ნიჭიერ პოეტ ევდოშვილის უდროოდ გარდაცვალებამ.

**წ.-კ. გამ. საზ. თელავის განყოფილება.**

—

საქართველოს კიდევ ერთი უბედურება თავს დაატყდა. აღარა გვყავს ჩვენი საყვარელი მგოსანი ირ. ევდოშვილი. ჩვენც ვიზიარებთ საერთო

# საერობო თათბირი

## და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა

დღევანდელ საერობო თათბირს გარდა პირდაპირის მნიშვნელობისა, სხვა მხრითაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა.

ის ხმაურობა, რომელიც ამ თათბირის გარშემო შეიქმნა, საკმაოდ ნათელ-ჰყოფს იმ განწყობილებას, რომელიც არსებობს როგორც კავკასიის ეროვნებათა შორის ისე თვით ერთი ეროვნების ფარგლებში. კერძოდ ჩვენ, ქართველები ძლივს მოვესწარით იშვიათ მოვლენას, იშვიათ ერთსულოვნობას ქართველ წარმომადგენელთა შორის.

საერობო თათბირზე ჩვენ წარმომადგენელთ შორის სასურველი და სასარგებლო შეთანხმება სუფევს და მეფის ნაცვლის სასახლეში მრავალის ბაგით **ერთი ქართული სიტყვა გაისმის.**

ეს ნამდვილად რომ ერის პოლიტიკურად აღზრდისა და განვითარების ძვირფასი მაგალითია. სჩანს, ჩვენ თვითშეგნების სასურველ დონესთვის მიგვიღწევია, როცა შევძელით ეროვნული სარგებლობა და ინტერესი უზენაეს საზომად გამოგვეცხადებინა და მისთვის სხვა ყველა იდეა და ინტერესი დაგვექვემდებარებინა. ამ მოვლენას დიდი საზოგადოებრივი ღირებულობა აქვს, იგი აღნიშნავს ჩვენი თვითშემეცნებისა და შეგნებისა უტყუარ სისწრაფეს. არა ნაკლები მნიშვნელობისაა ის თანაგრძნობა და ერთსულოვნობა, რომელიც ჩვენსა და კავკასიის მეორე ძლიერ მკვიდრთა, მუსულმანთა შორის არსებულა და რომელიც ამ საერობო თათბირმა გამოამჟღავნა. გვქონია საერთო ენა და საერთო გულის ნადები. ეს კი უტყუარი თავდებია ჩვენი საერთო უკეთესი მომავალი ცხოვრებისა. რუს წარმომადგენელთა დამოკიდებულება და განწყობილება ჩვენი წარმომადგენელთა პოზიციისადმი—ეს ერთხელ კიდევ იმის მოწმეა, რომ საღად შეგნებული სახელმწიფო ინტერესები ზოგ შემთხვევაში ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესს ეთანხმება.

ასეა საქმე. მაგრამ იმათ შორის, ვისაც არ მოსწონს ასეთი დადებითი მოვლენა, წარმოიშვა ერთნაირი შური და მტრობა და მოიმარჯვეს ძველი, ჩვენთვის კარგად ცნობილი ფანდი და ხერხი. სომხური გაზეთები „Кавказское Слово“ et tuti quanti სწორედ ამ დადებითი მოვლენის გამო დაფს და ნაღარას სცემენ.

ძველი ოინბაზობა კვლავ საქვეყნოდ გამოიტანეს. იაფი ლიბერალიზმის მეტი რა ეხარჯებათ? გაზეთი, რომელსაც დღემდის თავისი თავი რუსულ ლიბერალიზმის წარმომადგენლად მოჰქონდა, ამტკიცებს, ვითომც ჩვენი წარმომადგენელნი დიდს ხიფათს უმზადებენ ქართველ დემოკრატიას. „დიდი გვარეულობის“ ქართველი თავად-აზნაურობა და მსხვილი მემამულე ბეგები მეფის ნაცვლის სასახლეში საკუთარს კლასობრივს ინტერესს თურმე სჭედავენ და ქართველ და თათრის დემოკრატიას თურმე ზვარაკად იმზადებენ. მსჯელობს „Кав. Сл.“-ს დოლუხანოვ-ხატისოვები, ვერმიშოვ-ფირალოვები და ყველა, საკმაოდ ცნობილი აგრესიული შოვინიზმის წარმომადგენელნი. ნიანგის ცრემლებსა ღვრიან ქართველ დემოკრატიის ბედისათვის. შინაურობაში დიდი ანტიდემოკრატები, გუდამაყრელ და გორელ გლეხს „დემოკრატიულად“ მოწყობას უპირობენ. ეს „მანევრი“ ჩვენთვის ახალი არ არის. აგერ რამდენი ხანია სომხის აგრესიული იდეალოგია ამ გზას ადგია. ლიბერალიზმის და დემოკრატიზმის ქურქში გახვეული შეუპოვრად დანავარდობს ქართველი ხალხის მკერდზე. იშვიათად თუ რომელიმე სახელმწიფოს ისე ნაყოფიერად ესარგებლოს, რაიმე დიპლომატიურის ხერხით, როგორც ისარგებლა ჩვენში სომხობამ ასეთის ტაქტიკით. დიდი ქონებრივი მონაგარი, მრავალი მოკავშირე—მოაზროვნე ღვიძლ ერის ინტერესებზე ჯიგარ-აყრილი! მართლა, რომ იშვიათი ჯილდოა! ამისათვის, დემოკრატიზმისა კი არა, ეშმაკის ქურქის წამოსხმაც შეიძლებოდა!

დღესაც, სომეხთა ბანაკმა ეს დროშა გაშალა. დოლუხანოვებს თავი უაღრეს დემოკრატიულ პრინციპების დამცველად და რეაქციონურ იდეალოგიის მსხვერპლად მოაქვთ.

ჩვენში შეგნება რომ მეტი ყოფილიყო, იმდენი მაინც, რომ შეგვძლებოდა საკუთარი სახელით ყველა საგნისა და მოვლენის მონათვლა, ასეთს ურცხვობას და ასეთ „დიპლომატიურ“ ფანდებს ჩვენში ადგილი და გასავალი არ ექნებოდა. მაგრამ დღეს ამ ურცხვობას „დემოკრატიზმით“ განმტკიცებული უფლება აქვს არსებობისა, კიდეც არსებობს და დიდი გასავალიც აქვს. სომხის იდეოლოგებმა დიდი ხანია ჩვენც ყური გამოგვიჭედეს და რუსეთისა და უცხოეთის პრესაში გაიტანეს ერთი აზრი: დაჟინებით ამტკიცებენ, სომეხ-ქართველთა უთანხმოება ქართველ თავად-აზნაურობისა და სომხის ბურჟუაზიის უთანხმოება არისო. ანტაგონიზმი და მტრობა კლასის შორის არის დაბადებული და მათი გავლენის ხაზს არა სცილდებაო, ამგვარად სომეხ-ქართველთა უთანხმოებას სომეხმა იდეოლოგებმა თავისებური ხასიათი და სახე მისცეს. უთანხმოება ეროვნულ ნიადაგს ჩამოხსნეს და კლასთა ბრძოლის ფარგალში გადაიტანეს. ერთი მხრივ წარმოდგენილია ქართველი თავად-აზნაურობა, რომელიც ჟამთა ვითარებისა და ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებითი პირობებისა გამო, მოწინავე წოდების როლს თამაშობს. იგი ილტვის თურმე თავის კლასობრივ ინტერესებისათვის და მთელი მისი იდეალოგია კონსერვატიულ-რეაქციონურია, მიმართული ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ, კლასობრივ ბრძოლაში ქართველს დემოკრატიას ქომაგი და მოკავშირე ეჭირვება. ასეთს მოკავშირეობას სომხის იდეალოგების სიტყვით, ქართველ დემოკრატიას სომხის ბურჟუაზია უწევს. დასკვნა ერთია: კავშირი სომხის ბურჟუაზიასა და ქართველ დემოკრატიას შორის წინააღმდეგ ქართველი თავად-აზნაურობისა. კავშირი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც თავის ლეგალურ ინსტიტუტებისა და ქონების წყალობით თავად აზნაურობა ნამდვილ ეროვნულ პოზიციას ადგია, კავშირი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ყოველგვარ თვითმართველობას მოკლებული ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, თავად-აზნაურობის შეწევნით რაიმე დიდ მნიშვნელოვან ეროვნულ დემოკრატიულს საქმიანობას ეწევა. ასეთი მხსნელი მისსია თურმე აწევს სომხის ბურჟუაზიას!

სომხის ბურჟუაზია გამოდის წინააღმდეგ ქართული კონსერვატიული კლასისა და ცხოვრების წინსვლელობისაკენ ეწევა, დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას ემსახურება. ამგვარად, სომხის ბურჟუაზია ერთგვარ განმათავისუფლებელ სამსახურს უწევს ქართველ დემოკრატიას. ჩვენ მხსნელად სომხის ბურჟუაზია არის აღიარებული. ეს აზრი უფრო აშკარად და მოურიდებლად ბ-ნმა იშხანიანმა გამოსთქვა თავის წიგნაკში ქართველ სომეხთა ურთიერთობის შესახებ. ამ გზას ადგენ, ამ „divida et impera“-ს პრინციპს უდებდენ სარჩულად სომხურ პოლიტიკის მწარმოებელნი თავიანთი ზრახვების განმტკიცებას ჩვენში. დღესაც, საერობო თათბირის დროს ამ ჰანგზე მღერიან. ჩვენი წარმომადგენლების პოზიცია საერობო თათბირზე „Кавказское слово“-მ კლასობრივ პოზიციად მონათლა და გაზეთი, რომელმაც, ეტყობა, ადვილად მოინელა ყველა მის მიერ აღძრული პროვაკაცია—ინსინუაციები უმთავრესად ქართველი დემოკრატიის წინააღმდეგ, ქართველ დემოკრატიის მოსარჩლედ გამოდის. სხვა საკითხია თუ რამდენათ მოსანელებელია, ან ვის მოუნელებია ის ყოვლად უხამსი ბრალდებანი, რომელნიც გაზეთმა ქართველ ერს მოახვია, (კონსტანტინეპოლიდან დეპეშა, აჭარა, შიმშილობის უარის ყოფა და სხვა მრავალი). დღეს კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „Кавк. сл.“-ს ერთი აზრი ასულდგმულებს—გადაჭარბებულის მოთხოვნით, ან საქმის გართულებით მთავრობას ან სრულიად მოახსნევინონ ან გადაადებინონ საჭირო რეფორმის შემოღება ჩვენში. სალი კლასობრივი შეგნება ამას უკარნახებს. რაში ეპიტნავება სომხის ბურჟუაზიას და მის იდეოლოგებს, რუსის „მოქანქარე“ ჟურნალისტს და ორიოდე სამშობლო კერას მოწყვეტილ ბოღმა-მორეულ დეგენერატს ქართველს, ისეთი რეფორმის შემოღება, რომელიც ქართველ ხალხს მისცემს თვითმოქმედების ასპარეზს და შეაძლებინებს თავი დააღწიოს იმავე სომხის ბატონობას. ამ თავიანთ გულისზრახვას სომხის იდეოლოგები ძველ ნაცნობ ფორმულებში გამოსთქვამენ. აშკარა ანტიქართულს ლტოლვილებას უმაღლესი „დემოკრატიზმის“ სახელით ასაღებენ. მოვლენას სხვა განმარტება არა აქვს. როდისა სთხოვა ქართველმა დემოკრატიამ ხატისოვ-დოლუხანოვებს, დაგვიცავით მივექილეთო?! ღვთის მადლით, ქართველ დემოკრატიას იმდენი დამცველი ჰყავს, რომ მთლად რუსეთის დემოკრატიასაც უწევს ჩვენებური დემოკრატები მფარველობა-პატრონობას და ისეთის ერთგულებით, რომ აგერ პლეხანოვსაც კი დასჭირდა კალთა ჩამოეწია რუსეთის დემოკრატიის მეტისმეტ გულმოდგინე დამცველი ქართველისთვის. ბევრი რამ სხვა მოვლენაც ისე ახასიათებს ქართველ დემოკრატიას, რომ მას სომხებისაგან ჭკუა არ ესწავლება.

ეს ასეა, მაგრამ სომხის იდეოლოგების მიერ შექმნილ აზრს კიდევ დიდი გასავალი აქვს რუსეთის ბაზარზე. დღეს საჭირო მომენტში აზრს აღრმავებენ და ძველი ხერხით უნდათ საერობო საკითხშიაც რუსეთის საზოგადოებრივი აზრი თავისაკენ გადახარონ. მართლა საინტერესო სურათს უშლიან თვალწინ. უბედური, ეკონომიურად უძლური, გაუნათლებელი ჩაგრული ქართველთა გლეხი ჰლაფის სულს თავად-აზნაურების მიერ აგებულ ზღუდეებში და მათივე ბორკილ ქვეშ. ეს უკანასკნელნი საერობო თათბირში ამ ბორკილს სჭედავენ, სომხის წარმომადგენლები-კი მის დასამსხვრევად შიგ შემოჭრილან. ასეთია შექმნილი აზრი.

ზოგადი ისტორიული კონცეპციაც და ცნობილი ზოგადი მოვლენები, ცოტა არ იყო, ხელს უწყობენ ამ აზრის გავრცელებას. უცხო საზოგადოების თვალში, რომელიც აქაურ ცხოვრებას ან სრულიად არ იცნობს, ან მეტისმეტად ზერელედ, ასეთი საბუთი და მოსაზრება სამართლიანი მოსჩანს.

(შემდეგი იქნება)

გლოვას და მუხლს ვიდრეკთ მისი წმინდა ნეშთის წინაშე!

**თბილისის მე-4 ვაჟთა გიმნაზიის ქართველი მოწაფენი.**

—

გული მომიკლა ევდოშვილის უდროო ხვედრმა. მაგრამ მის მებრძოლ სულს ტირილი არა შვენის. იმით-ღა ვინუგეშოთ, რომ „გზა თელილი“ რჩება და ჭეშმარიტებას გვიახლოვებს.

**შალვა დადიანი**

—

გულის სიღრმემდის შეგვაშფოთა ღ გამოუთქმელ მწუხარებაში ჩაგვაგდო ძვირფას მგოსნის იროდიონ ევდოშვილის უდროვოდ გარდაცვალებამ. მონაწილენი ვართ ჩვენის სამშობლოს საერთო მწუხარებისა.

**თბილისის პირველ ვაჟთა კომერციულ სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა ჯგუფი.**

—

**ბეგლარ ახოსპირელის** სამაისო დილა, რომელიც 8 მაისს უნდა გამართულიყო სახალხო სახლში **ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო გადაიდო.**

განსვენებულ იოსებ გოძიაშვილის დაარსებული გუნდი, ორ ჯგუფად გაყოფილი, იგალობებს საყვარელ მგოსნის დაკრძალვის დღეს ილ. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით.

## „ჩამოწყვეტილი ფოთოლი“

შვიდ მაისს, ცხრათვალა მზიან დღეს იხილა იროდიონმა პირველად დღის სინათლე და რვა მაისს უბრუნდება მიწის წიაღს. სამშობლოს ცხოველმყოფელმა მზემ გულუხვად გაუთბო გული და მისი სიცოცხლეც მზიურ-მთბარი იყო. გულის გულში ატარებდა ტანჯულთა ბედს და მისი სიცოცხლეც მუდმივი ტანჯვა იყო. სულს უვარაყებდა სამშობლოს ღვთიური ბუნება და გულს უთუთქავდა ჩაგრულთა მწარე ხვედრი. პიტალო სული მისი კაჟივით მკვიდრი იყო და ჩანგი მისი უკულმართობის შესამუსრად მოუწოდებდა.

იგი ურიდად ებრძოდა უკულმართობას შინ თუ გარედ და ამ მხრივ მოსისხლე მტერმა უხვად შესვას შხამის ფიალა.

ცივს ქვეყანაში დასჭკნა მისი მედგარი ნებისყოფა. „პირსისხლიანი ყორანი“ ვესლიანათ დაჰყრანტალებდა „თვალებს გიქებენ საკორტნადაო“, და თვალების ნაცვლად გული დაუკორტნა.

დაცხავებულის გულით დაუბრუნდა იგი სამშობლოს კარმიდამოს, თავის „სატრფო-ნაღველს“, რომლის ტრფიალებამაც „მეგობარ-ამხანაგების მოშხამული ისრებით ადრევე დაუსერა საციმბიროთ გაწირული გული.

ეს უკულმართი და მწუხარედ საგონებელი დრო სისხლის ასოებით აღიბეჭდა მგოსნის ნაზ სულზე და მასთან ერთად მრავალი სალი გული მოაბრუნა სამშობლოს კერისაკენ. ეს იყო დასაწყისი იმ დასასრულისა, რომლის მოწმენიც გავხდით.

იმ ხანად მგოსანი სწერდა:

ჩანგი აჟღერდა, ამღერდა,
გული წაიღეს ჰანგებმა,
ვერ შეუწყვიტეს ხმა ტკბილი
მას წამოშლილმა დარდებმა.
ვერ შეაყენა გრიგალმაც
ბრძოლაში გამოწრთობილი,
მღეროდა ჩანგი ჩემს მუხლზე,
ჩემი სატრფო და ძმობილი!
მაგრამ უეცრივ სიმები,
შედგნენ, შეთრთოლდნენ მწარეთა...
ვსთქვი: იქნებ ტლანქად შევეხე,
ხელი ჩამოვკარ მდარეთა?
დავხედე გველებს: სიმებზე
გაჭიმულიყვნენ მწკრივათა,
თავი ჩემს მკერდზე მოეყრდნოთ,
ისარს მაბნევდნენ ცივათა.
დავხედე—ვიცან „ერთგული
მეგობარ—ამხანაგები“,
მას აქეთ ჩემი ჩანგითა
მათგან შორს დავიარები!

მისი განცდა გამოძახილი იყო ერის განცდისა. იგი გულის სიღრმეში სწვდებოდა ხალხის ვარამს და ძლიერის გრძნობით და უაღრეს სადაობით გადმოგვცემდა. მისი ლექსები დღევანდელს „გაფუტურისტებულ“ ხანაში ახლად გამოდგება.

შინაურ და გარეშე დაუნდობელ მტერთა მიერ დასნეულებულ-გაწამებული მგოსანი სწერს:

მე ფერფლილა ვარ, ცეცხლზე დამწვარ სალამურისა,
მე გმინვა ღა ვარ, მშველის გმინვა განგმირულისა,
მე ვარ ორბის ფრთა მოტეხილი, მოდუნებული,
მე ვარ ვარდის ძირს მიგდებული მკვდარი ბულბული.

მგოსანი ჩამოადნო ულმობელმა სენმა, მაგრამ იგი გულხახვეულის სიკერპით ეგებებოდა უკანასკნელ წუთებს და ადრევე ნათქვამი სიტყვები თვითონვე გაამართლა:

მოკვდი უსიტყვოდ, მოკვდი ჩუმად, არვის აჩვენო
შენი იარა, შენი ტანჯვა და შენი წყლული,
სამარეშიაც თან ჩაგყვება, თან, ორი გრძნობა:
მტარვალის ზიზღი, ხალხისადმი კი სიყვარული.

ერის სხეულს მოწყდა ერთიც ჩაყვითლებული ფოთოლი და საუკუნეთა წიაღში გაისრიალა.

გულისტკივილით გავცქერით ამ უცნობს გზას საიქიოს საიდუმლოებისას და სული ძაძით იმოსება.

არ გლოვობს მხოლოდ „მესამე დასი“ და ჩვეულებრივის რაინდულის მოურიდებლობით აღიარებს: ჩვენ დიდი ხანია გამოვიტირეთ და ეხლა ჩვენი მტრები დაიტირებენო!

ამ გულახდილ კადნიერებაზე მხოლოდ ერთი-ღა დაგვრჩენია მათს სანუგეშოთ:

ქართველმა ერმა რა ხანია გამოიტირა თავისი ურგები შვილები, მაგრამ იგი მათთვის არ დაიშურებს თითო პეშვ მიწას.

**ნ. კურდღელაშვილი.**

## ევდოშვილის საფლავზედ

უდროვოდ მოსწყდი ცოდვილ ქვეყანას და შენს არსებას არ უგრძვნია ამა ქვეყნისა სიამენი.

და მიტომაც უსაყვედურებ მშობელ ქვეყანას:

ქალაქო, გძინავს და მე მძინარეს გესაუბრები, რათა და რისთვის დამამწყვდიე, სული შემიხუთე? მიპასუხევით, ვინ იყავით ჩემთან იმ დროსა, როცა შევახე ფრთხილად ხელი შვილის საწოლსა, მან გაიღვიძა, პური მთხოვა, მე არა მქონდა! მიპასუხევით: ვის გესმოდათ ჩემი ცოლ-შვილის და თვითონ ჩემი ტანჯვა, ცრემლი, უღვთო წამება!..

ციხემ დაფოლა შენი სხეული, ციხემ შეგიმოკლა შენი დღენი და ციხემ მიგიყვანა შენ სამარემდის!

დაიწურა შენი სატანჯველი დღეები და მშვიდად, წყნარად განისვენებ.

„დღე-დღესა სწურავს, ღამე-ღამეს, მიდიან წელნი, ვუახლოვდები საიდუმლო რაღაც ქვეყანას; ვიცი რომ ერთხელ მოვისვენებ, სადმე მიწის ქვეშ ცელქი ნიავი, ქარიშხალი მეტყვიანნანას“.

განისვენე წამებულო მგოსანო და სუბუქი იყოს შავი მიწა შენ ტანჯულ გულზედ.

Legatus.

## ოჯახს მივხედოთ

იტანჯა, ივაგლახა და განისვენა. ვით სანთელი, იგიც თავის წინ არ ანათებდა... არ იყო თავისკენ მთლელი: თავის ცოლშვილი დასთმო სამშობლოს სიყვარულისთვის...

ეს ყველამ ვიცით: იროდიონს თავის მოძმის დარდ-ვარამი თავის დარდვარამად მიაჩნდა... საქართველოს ათასნაირ ჭირ-ვარამს ველარ ინელებდა და... სიმართლის ძებნაში გამოელია მას სინათლე...

მან ცხოვრების ქარტეხილში დალია სული, ვით მედგარი მეომარი ბრძოლის ველზე.

სხვის მანუგეშებელს და გულის შემატკივარს ვინ ანუგეშებს, ვის შესტკივა მის ცოლშვილისათვის გული?!

ქართველ საზოგადოებას არ ეკიჟნება იროდიონისადმი გულგრილობა. შეძლებისა დაგვარად ეხმარებოდა, მის ოჯახს ხელს უწყობდა.

ნუთუ იგი ეხლა ჭირისუფალს ღვთის ამარა დასტოვებს?!

საზოგადოება მოვალეა გაუჩინოს მას ყოველთვიური სადსარი. დავაარსოთ ხელმოკლე მწერლების დამხმარე კომიტეტი. დიახ, ამ კომიტეტის პირველ საზრუნავად განსვენებულ მხატვარ-პოეტის ოჯახი იყვეს!

ოჯახს მივხედოთ.

**ვანო.**

გაზ. „საქართველოს“ წლიურ ხელის მომწერთ დღეიდან შეუძლიანთ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა 4) „მერანის“ მიღება

**კვირის სურათებიანი დამატება მიეძღვნება ახლად გარდაცვალებულს საყვარელს მგოსანს იროდიონ ევდოშვილს. მოთავსებულია მისი ლექსები და მრავალი სურათები სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა პირებთან გადაღებული.**

**ამ ნომერთან ერთად ჩვენი გაზეთის მკითხველებს ეგზავნებათ „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ მოწოდება (ცალკე ფურცლად).**

## ახალი ამბავი

✦ **ხელმწიფე იმპერატორის დაბადების** დღეს, გუშინ, ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და შემდეგ სამადლობელი პარაკლისი საქართველოს ეგზარხოსისა და მთელი ქალაქის სამღვდელოების მიერ. პარაკლისს დაესწრნენ მათი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მთელი უმაღლესი ოჯახობით და ამალით.

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით ანასტასია ნიკოლოზის ასულით 5 მაისს კოჯორში ბრძანდებოდნენ და იმავე დღეს თბილისში დაბრუნდნენ.

✦ **დეპუტაცია საერობო თათბირისა.** 5 მაისს მათ იმპერატორობით უმაღლესობას მეფის ნაცვლის მეუღლეს ანასტასია ნიკოლოზის ასულს და დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის მეუღლეს მილიცა ნიკოლოზის ასულს წარუდგა საერობო თათბირის მონაწილეთა დეპუტაცია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აფხაზისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ დ. ო. ნიჟარაძის მეთაურობით, რომელთაც ცოცხალი ყვავილები მიართვეს მათ უმაღლესობას.

✦ **მექარხნეთა ეკონომიური საზოგადოება.** კავკასიის საქარხნო სათათბიროს თავჯდომარის თ-დ კ. ნ. აფხაზის მეთაურობით შესდგა თბილისში „ეკონომიური საზოგადოება თბილისის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა“. მიზანი ამ საზოგადოებისა დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ მექარხნეთ და მრეწველთ პირველ საჭიროების სანოვაგის შესაძენად სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა და მუშათა მისაწოდებლად.

✦ **სეირნობა.** დღეს, 7 მაისს, არტისტიულ საზოგადოების ბაღში (მიხეილის პროსპექტზე), ნაშუადღევის ოთხი საათიდან გაიმართება დიდი სეირნობა. სეირნობის წმინდა შემოსავალი გადადებული იქნება **ქართველ ქალთა ამხანაგობის** ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ. ოცს წელზე მეტია, რაც ეს სკოლა ზრდის ქართველ ქალებს და გამოჰყავს როგორც სწავლის, ისე პრაქტიკულ ხელობის მცოდნე ქალები. ამ სკოლაში სწავლადასრულებულნი დღეს მთელს საქართველოს კუთხეში არიან მოფენილნი და ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვას, ხატვას, წიგნის კითხვას, სიმღერას და სხვა საოჯახო ხელსაქმეს ასწავლიან. ქართველი საზოგადოების მოვალეობაა ამ სკოლას ხელი შეუწყოს და თავისი წვლილი გაიღოს მომავალ ქართველ დედების აღსაზრდელად.

✦ **მუშების გაფიცვა.** თამბაქოს ქარხნის „კომეტას“ მუშები გაფიცული არიან. ისინი ხელფასის მომატებას თხოულობენ. ქარხნის ადმინისტრაციამ განცხადება გამოაკრა კარებზე, რომელითაც მუშებს ატყობინებს, რომ ვინაც ორშაბათიდან (9 მაისი) მუშაობას არ დაიწყებს, დათხოვნილი იქნება და მის ადგილას სხვა მუშას აიყვანთო.

✦ **ხელოსანთა კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, სახელოსნო გამგეობაში კრება ექნებათ წვრილ ხელოსნებს. კრებამ უნდა აირჩიოს თავისი ორი წარმომადგენელი მონაწილეობის მისაღებად იმ კომისიაში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ნორმალურ დასვენების წეს-რიგი.

✦ **თბ. პოლიტეხნიკური კურსების სამიწათ-მზომლო განყოფილება დაამთავრეს: ქ. ასათიანმა, დ. გამრეკელი**შვილმა, ი. გვანცალაძემ (პოეტმა ქნარმა), ე. კაკაურიძემ, მ. მაჩიტაძემ, ე. ნიორაძემ, ან. უთმელიძემ, გ. ჭავჭავაძემ და ივ. შირიაევმა.

✦ **მისაბაძი მაგალითი.** პოზიციაზედ მყოფმა პრაპორშჩიკმა ბ-მა ლადო რატიშვილმა სოფ. ქსოვრისის სკოლის დასაარსებლად შესწირა ოთხასი მანეთი.

✦ **საბურთალოს მებაღეთა გაჭირვება.** საბურთალოზე, ადგილ „დელისე“ გაშენებული ბაღები, უწყლობით დიდ კრიზისს განიცდიან. ერთადერთი გზა ხსნისა—ლისის ტბაა, საიდანაც აპირებენ წყლის გამოყვანას. მებაღეთა დავალებით ბ-ნ ს. შ. ჭყონიას მიერ მიწვეულ იქმნა ამ ტბის გამოსაკვლევად და წყლის გამოსაყვანად ინჟენერ-ჰიდრავლიკი 1 ოლქისა ბ-ნი ცეიტლინი, რომელიც კვირას, 8 მაისს მიემგზავრება გამოსაკვლევათ.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** დღეს პეტროგრადს მიემგზავრება.

✦ **შრომის ბირჟა.** დღეს ქალაქის გამგეობაში დანიშნულია თათბირი შრ. ბირჟის რეორგანიზაციის შესახებ და ომის შემდეგ უმუშევართა დახმარების აღმოჩენის საკითხი. თათბირში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ბირჟის ინსტრუქტორი მ. ნინიძე.

✦ **ქართველ ჯარისკაცთა ოჯახებზე მზრუნველ** ქართველ თავად-აზნაურთა კომიტეტს, 1 მაისამდე შემოწირულება შემოსვლია: 32,451 მან. 28 კაპ., წმ. ნინოს ლაზარეთის სასარგებლოდ შემოსულა 22,000 მან. 09 კ. და რამდენიმე საწოლის შესანახად—32,981 მან. 64 კაპ., სულ 87,433 მან. 01 კაპ. ამ თანხიდან დახარჯულა: წმ. ნინოს ლაზარეთის შესანახად 62,576 მან. 34 კაპ., ჯარის კაცთა ოჯახებს დახმარება 11,412 მან. 46 კაპ. და კანცელარიის შენახვა და სხვა წვრილმალი ხარჯები 1,720 მან. 26 კაპ., სულ 75,709 მან. 80 კაპ. 1 მაისს კომიტეტს ჰქონდა ნაშთი 11,723 მან. 95 კაპ.

✦ **კავკასიის** სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ დაიკვეთა სოფლის მეურნეთა საჭიროებისათვის 3.000 გუთანი „აქსაი“. ამ გუთნების ნაწილი უკვე მოსულია თბილისში, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილ მოდის. 100 გუთანი დაიკვეთა აღნიშნულ საზოგადოებისაგან სომხეთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ გადმოხვეწილ სომხეთა საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენი 2.000 გუთანი გაიყიდება საზოგადოების საწყობში მცირე ფასებში. აღნიშნულმა საზოგადოებამ მიიღო ხარკოვიდან სხვა და სხვა საკვებ ბალახეულობის 70 ფუთი თესლი, რომელიც საზოგადოებაში ისყიდება.

**ქ. თელავი.**

ეს 3-4 დღეა გამუდმებით წვიმს და ვაზს ობის გაჩენაში უფრო ხელს უწყობს ნოტიო ამინდი.

— თელავში იხსნება ომში ფეხმოკვეთილთათვის სახარაზო სახელოსნო 30 კაცისათვის. გამგეობა უკვე აირჩიეს და საქმესაც შეუდგნენ.

— 1 მაისს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში თამარის დილა უნდა გამართულიყო, ნებართვაც მიიღეს, მაგრამ აღარ გაიმართა რადგანაც მ. მიხ. ელიზბარიშვილს ნება არ მიუცია რომ მომღერალთა გუნდი სხვა ლოტბარს მოემზადებინა...

**სოხუმი.**

სოხუმის წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილება ქ. სოხუმში ხსნის „ძმურ ნუგეშს“ თვის საშუალებათა სასარგებლოდ.

**ქ. ზაქათალა.**

23 აპრილს თეთრი ყვავილის დღეს 237 მანეთი და 35 კაპ. შეგროვდა.

— აპრილის პირველ რიცხვიდან საამური დღეებია. მხურვალე მზის სხივები საამურად დაჰყურებს მთელ არემარეს და სიცოცხლეს ჰფენს. საღამ-საღამობით კი 8—9 საათზედ ცოტა წვიმა წამოვა ხოლმე.

— მოსავალს კარგი პირი უჩანს.

**გორი.**

**მილის წყალი გორში.** გორის ჰიდროტეხნიურმა ორგანიზაციამ უკვე დაამთავრა ხარჯთ-აღრიცხვა ქ. გორში მილის წყლის გაყვანისა. ეს საქმე ჯდება 130 ათას მანათამდე. ხარჯთ-აღრიცხვა წარედგინა გორის რწმუნებულთა საკრებულოს, რომელიც ამ მოკლე ხანში იწვევს საგანგებო კრებას.

**სოფ. ბაკურციხე.**

ლადო ღვთისიაშვილი ჩამოვიდა რუსეთიდან და მოიტანა ხალხში დასარიგებლად ხორბალი და ფქვილი. მან წინათაც გადაარჩინა ხალხი სიმშილს. ფუთი ფქვილი ხალხს მიეცემა 2 მან. და 80 კაპ., ხორბალი 2 მ. 60 კაპ.

— ბაკურციხის, კოლაკის და ვეჯინის მამასახლისად ამოირჩიეს ნიკო პეტრიაშვილი, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებენ. იმედია, ახლა მაინც ეღირსება ბაკურციხის სკოლა ხეირიან შენობას.

— აქეთ საარაკოდ გაძვირდა ყოველისფერი, როგორც სოფლის ნაწარმოები, ისე თბილისიდან მოტანილი პირველ საჭიროების საქონელიც. ხალხი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი.

— საკლავის უქონლობის გამო ხორცი სულ არ იშოვება, თუ სადმე არის მამასისხლად ფასობს.

— დღემდის ხალხი დიდ გაჭირვებაში იყო რკინის გზაზე უსადგურობისა გამო, ახლა კი ძლივს გველირსა ჩალაუბანსა და ბაკურციხის შუა ბაქნის დამტკიცება.

## ბროშიურა საქართველოს შესახებ

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 101)

ვერნესოვის მმართველობის დროს საქართველოს გარუსების პოლიტიკა და ადგილობრივ ყოფა ცხოვრების ტრანსფორმაცია რაოდენადმე შეჩერებულ იქმნა, მაგრამ დიდი ხნით კი არა. ყოველ მხრივ ნგრევა და ახალ წესწყობილების შექმნა ხდებოდა თვით დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძის მმართველობის დროს. ამ დროს სამსახურში ღმთავრესად ქართველები იყვნენ, საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ მუხრან ბატონებს, მელიქიშვილებს, ჭავჭავაძეებს, ორბელიანებს, ერისთავებს, ამილახვრებს, ამირეჯიბს, ყიფიანებს, ანდრონიკაშვილებს და სხვებს. უკანასკნელ ხანებში კი მათი ადგილი დაიჭირეს ვეიდენბაუმებმა, გაკელებმა, პეტერსონებმა და სხვებმა. ყველა აქ ჩამოთვლილნი საერთოდ არ ყოფილან მავნე ქართველობისთვის, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრს მათგანს არა გაეგებოდა რა ქართველის სულისა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთი უწესოება შევიდა თვით საქართველოს ტერიტორიის წესწყობილებაში. გრაფ ვორონცოვ დაშკოვის კანცელარიაში შემოიტანეს პროექტი ამიერ კავკასიის მაზრათა ახალი მოწესრიგება და თვით ტერიტორიის სრულიად ახალი გადამიჯვნა. ვის რად უნდა ეს? თურმე ნუ ბრძანებთ, ეს ახალი გადამიჯვნა მხოლოდ და მხოლოდ სომხეთა ახალ ოლქის შესადგენად დასჭირებოდათ. მართალია, პროექტი არ გატარდა ცხოვრებაში, მაგრამ თვით ფაქტი მაჩვენებელია იმისი, თუ ახალი ქვეყნის უცხო წყობილების მძიმე წისქვილის ქვები როგორ მიჰგორავდნენ ერთის მხრით დანგრეულ და განადგურებულს ადგილობრივ ცხოვრებაში, ხოლო მეორეს მხრით როგორ აქარწყლებდა და ერთიანად სპობდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის უზენაეს აღთქმას, რომ „მართლმსაჯულება, პირადი და ნივთიერი ხელშეუხლებლობა სავსებით დაცული ყოფილიყო“ საქართველოში!

თუ ასეთი ნგრევა და განადგურება დავინახეთ საქართველოს სარელიგიო თუ არისტოკრატიულს წესწყობილებაში, უარეს ამბებს ვხედავთ აგრარულს საკითხში კერძო მფლობელობის სფეროში. უძველეს დროიდან საქართველო ითვლებოდა კერძო მფლობელობისა და ოჯახურ წესწყობილების ქვეყანად. საქართველომ არ უწყოდა რა იყო თემობა. ახალი მთავრობა კი გაიძახოდა, რახან რუსეთში თემური წყობილებაა, აქაც უნდა შემოტანილი იყოს იგიო. ასი წელიწადი ეწვალნენ, მაგრამ ქართველის შემეცნებაში ვერ ჩასჩხირეს ასეთი „თემობა“. გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის დროს საქმე იქამდინ მივიდა, რომ ნაძალადევად დაიწყეს მისი დამყნობა საქართველოში, მაშინ როდესაც თვით რუსეთში ქუცმაცდებოდა იგივე თემობა. უცნაური რამ იყო ყველა ეს! შეუძლებელია დაწვრილებით გარდმოეცეს საქართველოს მეურნეობის სახე, იმდენად აურდაურიეს, ქაოსად გარდაჰქმნეს ყოფერი. ახალ ელემენტების დასახლება, ხოლო მკვიდრთა გადასახლება, სოფლების ნგრევა ისეთის სისწრაფით ვითარდებოდა, რომ მასთან ფერმკრთალი გამოჩნდა შაჰაბაზის მიერ გადადგმული მკაცრი ნაბიჯი, როდესაც კახეთიდან ასი ათასი ქართველი სპარსეთში [illegible] მათ ადგილას [illegible] თათრობა.

შეურყეველი არ დარჩენილა თავად-აზნაურთა მამულები. იმავე თავიდან თითქმის ყველა მამულები თბილისის გუბერნიისა, გარდა იმისა, რაც სახაზინოდ იქმნა გამოცხადებული, გარდაეცათ სხვა და სხვა დროს გერმანელთა ახალშენებს, დუხაბორებს, მოლოკნებს და სხვა სექტანტებს და უცხო ტომის ხალხთ. ასეთივე ამბები ხდებოდა დასავლეთ საქართველოშიაც, შავი ზღვისა, ქუთაისისა და ბათომის გუბერნია-ოლქებში. იქ რუსების თანასწორად ასახლებდნენ სომხობას, ბერძნებს, სერბებს, გერმანელებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც კი გნებავთ, მაშინ როდესაც თვით დასავლეთ ქართველებს გურულებს თუ მეგრელებს, უშლიდნენ და ნებას არ აძლევდნენ დასახლებისას, თუმცა ესენი გაცილებით უმიწაწყლონი არიან, ვიდრე აღმოსავლეთელი ქართველები, როგორც ქართლელები და კახელები. საანგდოტო მათი მამული, კომლზე დღიურის ერთი მეოცდაათედი ბევრი რამ ეგონათ, ამათ მემამულეებად აცხადებდნენ და ამ პრეტენზიით ქართველთ ქართველთავე მიწაწყალში არ აძლევდნენ დასახლების უფლებას.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იტვირთა სახაზინო ტყეებისა და ქონების თვალყურის დევნება. შემდეგ ეს თანამდებობა გადავიდა მიწად მომქმედ და მომწყობ სამინისტროს განკარგულებაში. ამან მიწების მობილიზაცია მოახდინა და ათასი ხრიკით მოსპო და გაანიავა თავად-აზნაურთა მამულები, რის გამოც ქართველი თავად-აზნაურობა დაწვრილმანდა, გაიბნა, გაღატაკდა, მაშინ როდესაც მათი ქონებით გაძლიერდა ხაზინა...

მთელი რიგი რეფორმებისა აჭრელებს ქართველთა ცხოვრებას. არ დარჩა შეურყეველი რელიგიური, აგრარული, სავლეხო, სამმართველო, საქალაქო თუ სხვა რამ სფერო ისტორიული ყოფა ცხოვრების ყოფილი კუნჭული დანგრეული იქმნა, ამიტომაც თვითმოდგმამ ქართველობისამ გადაგვარება დაიწყო. გადაგვარდა თვით ინტელიგენცია ქართველობისა. ძველი რაინდ-ქართველობის ნაცვლად ახლა კოსმოპოლიტიზმისკენ დაიწყეს გადახრა. მოძრაობას სათავეში სოც. დემოკრატები ჩაუდგნენ, რომელთაც მეტად სუბუქად მოექცნენ სამშობლო ისტორიას, არ მოისურვეს თავის ერის სულის სიღრმეში ჩაეხედათ და ფანტასტიურ ინტერნაციონალის აჩრდილის დევნაში დაიწყეს საქართველოში სწორედ იმის განმტკიცება, რასაც ეტრფოდნენ რუსის მოხელეობა მთელი საუკუნის განმავლობაში. მათ „პროლეტარიატი“ მიუსიეს „ბურჟუაზიას“, თავად-აზნაურობას და სასულიერო წოდებას და მარჯვნივ და მარცხნივ დაუწყეს წიწვა. გრაფ ვორონცოვ დაშკოვის კეთილად თავზე ხელის დასმამ რამიშვილებზე, ლომთათიძეებზე და სხვა „მეცნიერ“ სოციალისტებზე შეჰქმნა მესამე მიმდინარეობა, რამაც მრავალი უბედურება მიაყენა საქართველოს. სოციალიზმის მიკრობები ღრღნიდა ქართველ ინტელიგენციას და ნიადაგი განუმტკიცა ვითომდა „მეცნიერულ“ სოციალიზმის დამყარებას.

ეს რაღაც განსაკუთრებული რამ იყო! ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე კარლოს პავვალენი, რომელიც ვარანცოვ-დაშკოვის მიერ იყო დაყენებული. „მეცნიერ“ სოციალისტთა ზეგავლენით მოჰყვა ქუთაისის გუბერნიაში სოც. დემოკრატთა პროგრამის ერთი პარაგრაფის გაყვანას: ამ გუბერნიაში მრავალი საგარაკო ადგილები იყო, რის გარშემოც დავა იყო ატეხილი კერძო მესაკუთრეთა და ხაზინის შუა. რომ საკითხის გადაჭრა დაეჩქარებინათ, გადასწყვიტეს კარლ მარქსისა, კაუტსკისა, რამიშვილისა და ლომთათიძის ჩვენების თანახმად ეს მიწები დაერიგებინათ უმიწაწყლო გლეხობისთვის. მაგრამ გზად მათ ბევრი რამ დაბრკოლება გადაელობათ და ჩვენი „მეცნიერი“ მარქსისტები და ბიუროკრატია შორდება, ცოტა არ იყოს, ყურებ ჩამოყრილი. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი სხვის საკუთრების გაყოფის დროს, სოციალიზმის გასამარჯვებლად, გახლდათ სხვათა შორის ისიც, რომ გასაყოფი მამული ხვნა-თესვისთვის გამოდგა და ახალი მეპატრონენი კი სულ მხვნელ-მთესველნი იყვნენ...

ეს უბრალო მაგალითი ფრიად დამახასიათებელია იმის საილუსტრაციოდ, თუ სახელდობ როგორ და რა სახით ჰკურნავდნენ საქართველოს წყლულებს. ასეთი სავალალო ცდა ბევრიდან ბევრი მოხდა და მეტად ძვირად დაუჯდა ისედაც გასაწყლებულს საქართველოს.

თქმა არ უნდა, საქართველოში ბევრი რამ იყო, რომლის დაცვა-შენახვა საჭიროც იყო და აუცილებელიც. რუსეთის მთავრობას მასზე მეტი მზრუნველობა უნდა გამოეჩინა, ვინაიდან მის მიერ შეძენილ ქვეყნებში ასე უსისხლოდ არც ერთი არ მოჰრიგებია. პატარა ქვეყანას ჰსურდა თვისი ეროვნული ელფერის დაცვა, შენახვა, თვის ისტორიულ დოვლათის მოხმარება და ამის გამო მას ქვა და გუნდა მიაყარეს, ათასი შეურაცხყოფა არ აკმარეს და ბოლოს სეპარატიზმიც მოახვიეს თავზე!

ასე შეიქმნა და იქმნება რუსის საზოგადოებაში ლეგენდა ქართველთა სეპარატიზმისა...

დ. კ—ძე

## ქართ. კულტურის მოყვარულ. საზოგადოებისაგან

ჩვენი ეროვნული გლოვა ჩვეულებრივი გლოვა არ არის. განსაკუთრებული სიმწვავე აორკეცებს მის მტკივნეულობას. სხვა ერმა არ იცის ასეთი მტკივნეულობა. იგი მხოლოდ ქართველი ერის მწვავე ხვედრია. ჩვენ ვგლოვობთ არა მარტო „მომწიფებულ“ შვილთა დაკარგვას, რომელთა განვლეს „გზანი თვისნი“ „ამა სოფლად“, ჩვენ ვგლოვობთ უმეტესად ეროვნული სხეულის ჯერედ ნორჩს, სალს, აუყვავებელს და გაუფურჩქვნელ ნაწილთა უდროვოდ ჩამოჭრას. ამიტომ ასე მტკივნელია ჩვენი ეროვნული გლოვა.

მას თან ერთვის უსაშინელესი, სინდისის მქენჯნავი, შეგნება—შეგნება პირადი დანაშაულისა ეროვნული მსხვერპლის წინაშე. ჩვენ ვშფოთავთ და ვიტანჯებით უდროვო მსხვერპლის ხილვით, რომლის გადარჩენაც ჩვენ შეგვეძლო, მაგრამ არ გადავარჩინეთ.—რითი გავიმართლოთ თავი?! რამ დაჰფაროს ჩვენი დანაშაული და დაამშვიდოს ჩვენი სინდისი?!

აი ახალი მსხვერპლი ჩვენი პირადი და ეროვნული ცოდვებისა!

ევდოშვილიც დაეცა—ეკლიან გზაზე მიმავალი... ევდოშვილმაც გაიზიარა ჩვეულებრივი ბედი ქართველი მწერლისა... იგივე მიზეზები, იგივე სენი და ისეთივე სიკვდილი!.. და ჩვენი გლოვაც იგივე გლოვაა, ჩვეულებრივი მწვავე, სინიდისის მქენჯნავი, გლოვა; იგივე უსაზღვრო სევდა და უიმედო ქვითინი!..

მაგრამ, როდემდის?! გვეყო მწუხარება და სევდა. ნულარ დავიჩლუნგებთ ამით გრძნობას და ენერგიას: ნუ მივეცემით აპატიას. **დეე ეს იყოს უკანასკნელი მსხვერპლი ჩვენი ეროვნული ცოდვებისა**. დანაშაული წარსულ მსხვერპლთა წინაშე გამოვისყიდოთ ახალი საქმით, ახალი მუშაობით:—მომავალში მაინც ნუ მოსწყდებიან უდროვოდ ჩვენი რჩეულნი შვილნი ჩვენს სხეულს, ნუ დასჭკნებიან იგინი „გაუფურჩქვნელ კოკრებად“. ამიერიდგან მაინც გავუწიოთ მათ მამობრივი მზრუნველობა, მოუპოვოთ მათ სამშვიდობო ბინა, სუფთა ჰაერი—შეძლება თავისუფალი სუნთქვისა; ოდნავ მაინც მოვკირწყლოთ გზა ეკლიანი, მათ გასავლელი!..

**ამიერიდგან მაინც!** გვეყო ამდენი მსხვერპლი! მეტის ღირება ჩვენ არ შეგვიძლიან!..

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება** ყოველ ქართველთან ერთად მწვავედ განიცდიდა და განიცდის ამ ეროვნულ ტკივილებს. სხვებთან ერთად, ვერც იგი უცქერის გულგრილად რჩეულ შვილთა საშინელს ბედს და იღბალს. მან უკვე წარსულ წელს გადასწყვიტა თავისი საპატიო წევრის **ვაჟას სახელობაზე ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** აშენება ს. წაღვერში, რისთვისაც დაარსა განსაკუთრებული საგარაკო კომისია. უკანასკნელი უკვე შეუდგა მუშაობას და მოუწოდებს ყოველს ქართველს დაეხმაროს მას მის მოქმედებაში.

დღეს ეროვნული გლოვის დღეა ჩვენთვის! და სწორედ დღეს გვეძლევა ყოველს ქართველს ახალი საბუთი—უკანასკნელი საბუთი—მოვიხადოთ ჩვენი ვალი ჩვენს ბედისაგან განწირულ რჩეულ შვილთა წინაშე.

სწორედ დღეს ჩვენი გულგრილობის მსხვერპლის წინაშე ყოველს ქართველს ეძლევა შეძლება ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს სინიდისის ქენჯნა და დაჰფაროს თვისი ეროვნული დანაშაული!..

სწორედ დღეს აი ამ მსხვერპლის წინაშე ჩვენმა ეროვნულმა ნებამ გამოიტანოს მტკიცე და შეურყეველი გადაწყვეტილება—**უნდა აშენდეს აგარაკი—თავშესაფარი ჩვენს უდროვოდ დავრდომილ მოღვაწეთათვის**... და სწორედ დღესვე უნდა შევსწიროთ ამ საქმეს ყველა ის და იმდენი, რის შეწირვასაც მოითხოვს ჩვენი სინიდისი და ჩვენი ეროვნული შეგნება.

მაშ ნულარ დაახანებთ; საქმის გადიდება—მისი დასაზარებაა. შესწირეთ ამ დიადს საქმეს აუცილებლად დღესვე ვისაც რამდენი შეგიძლიანთ! მიიტანეთ ყველამ „თითო აგური“ ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის! დაამშვიდეთ თქვენი ეროვნული სინიდისი!

ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **გ. ჟორდანია**.

მდივანი **ივ. ზერიაშვილი**.

## საერობო თათბირი

4 მაისი.

(გაგრძელება)

**ნ. ყ. თავდგირიძე**. არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, თითქოს საერობო ერთეულებისთვის პროპორციონალი პრინციპების მიღება საჭირო იყო. ორატორის აზრით არ არის სასურველი, რომ წარმომადგენლობას ირჩევენ არა მათი საქმიანობის მიხედვით, არამედ იმიტომ რომ რომელიმე ეროვნებას ეკუთვნის. უმცირესობის და უმრავლესობის საკითხი ამ შემთხვევაშიაც გადუჭრელი დარჩება და ერობის მუშაობა კი შეფერხდება. ასეთი ხელოვნური საშუალებით არ შეიძლება უმცირესობის უფლება დაიცვა და ეს უკვე ეხლა ყველასთვის აშკარაა და ამ პრინციპის განხორციელება ასეთს შემთხვევაში სრულებით არ მოითხოვებაო.

**ს. ნ. ყაზახიშვილი** მოითხოვს განმარტებას, როგორ გატარდება ეს პრინციპი ამომრჩეველთა სხვა და სხვა კურიებში,—რის მიხედვით,—ქონების თუ მცხოვრებთა რაოდენობით.

**ვართანიანცი**. ამ პრინციპს მიუღებლად სცნობს. ოთხი ეროვნება კი არ აღმოჩნდება კავკასიაში ეს რომ მივიღოთ. არამედ მარტო დაღესტანში ათი და თხუთმეტიო.

**ა. მ. ნევეროვი**. (სამინისტროს წარმომადგენელი) ამცნობს კრებას. რომ ამ პრინციპს რუსეთის ერობა კიდევაც იცნობს, ის სტოლიპინმა პოლონეთის ერობაში გაატარაო. ამაზედ მას უპასუხებენ, რომ იქ პროპორციონალი ამომრჩევლობა არ იყო დაცული, ვინაიდან ეროვნებათა წარმომადგენლობის რიცხვს მთავრობა საზღვრავდაო.

**ირეცკოის** წინადადება, რომ ეს პრინციპი შემოღებულ იქმნას ჩვენშიაც, როდესაც მას საერთო რუსეთის კანონმდებლობა აღიარებსო, მიღებულ იქმნა ერთხმად.

კრება გადადის ხმოსანთა განაწილების საკითხზედ სხვა და სხვა მაზრებში და გუბერნიებში და ამის შესახებ ღებულობს **ტობჩიბაშევის** წინადადებას, რომ ხმოსნების რიცხვი გამორკვეულ იქმნეს მაზრებში მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

IV სექცია. პირველი კრება ალი მარდან ბეგ **ტობჩიბაშევის** თავმჯდომარეობით. 4 მაისს. ამ სექციას მინდობილი აქვს საერობო ერთეულებიდან—სამაზრო და საგუბერნიო ერობებიდან, დიდი ქალაქების გამოყოფის საკითხი ცალკე სამაზრო თუ საგუბერნიო საერობო ერთეულის შესადგენად.

**ა. ი. ხატისოვმა** წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განიხილა ქალაქების გამოყოფის სურვილის წარმოშობის და განვითარების ისტორია. ის მოვლენა, რომ დიდ ქალაქებს საერობო სალაროში შეაქვთ ხშირად მთელი სახსრის ნახევარი და ამავე დროს კი დიდი ქალაქები სამაზრო ერობებში შედიან და მასში მთელი ხმოსნების მეხუთე და მეექვსედ ნაწილს გზავნიან ორატორს დიდ უსამართლობად მიაჩნია. ის მხარს უჭერს რუსეთის დიდ ქალაქების მოთხოვნილებას და წინადადებას აძლევს კრებას დაადასტუროს ქ. თბილისის გამოყოფა თბილისის სამაზრო ერობისაგან, რომ მან საკუთარი სამაზრო ერობა შეადგინოს.

**გ. ა. დემიდოვი** კითხულობს მოხსენებას ამავე საკითხზე. ორატორი უსაფუძვლოდ და უსამართლოდ აღიარებს დიდი ქალაქების სურვილს ერობიდან გამოყოფის შესახებ, ვინაიდან თუ დიდი ქალაქები მეტ სახსარს აძლევენ ერობას, ვინემ სოფლები, ეს იმიტომ რომ მათ გზების გაყვანა, სანიტარია და მედიცინა და სხ. უპირველეს ყოვლისა ქალაქისთვის არის საჭირო და სასარგებლოვო. ორატორი მოითხოვს რომ თათბირმა დაადგინოს ქალაქების სამაზრო ერობაში დატოვება, როგორც ეს არის ყველა რუსეთის ერობებში სამიოდე მაგალითის გარდა.

**პ. ა. გოთუა** ვრცელ სიტყვაში იკვლევს საკითხს და ამტკიცებს, რომ ქალაქების სურვილი მიუღებელი და უკანონოაო. ორატორს გასაგებათ მიაჩნია, რომ მდიდარი ქალაქები გაურბიან ღარიბ სოფლებს და მასთან საერთო ხარჯის გაწევა აღარ უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქების კეთილდღეობა მის გარეშე სოფლებმა შეჰქმნესო. ყველა საერობო ხარჯები, ორატორის აზრით, ერთნაირად სასარგებლოა, როგორც სოფელისთვის, ისე ქალაქისთვის. ამ უხილავი სარგებლობის გაზომვა შეუძლებელია და ქალაქების მტკიცება—ჩვენ ერობას ამდენ თანხას ვაძლევთო და სამაგიეროდ ერობა ჩვენ ძლიერ ცოტას გვიბრუნებსო, უსაფუძვლოა, რის შესახებ მას მოჰყავს ცნობილ ბ. ვესელოვსკის მოსაზრებები. ორატორი მოითხოვს თბილისის დატოვებას სამაზრო ერობაში.

**გ. დ. ჟურული** ეთანხმება ა. ი. ხატისოვს და ამტკიცებს, რომ ქალაქების გამოყოფა ერობიდან სასარგებლო იქნება თვით მაზრებისთვისაო.

**მიტკევიჩი** და **დოლუხანოვი** მოითხოვენ თბილისის გამოყოფას.

**ნ. გ. მაჩაბელი** ვრცლად ეხება საკითხს და ამტკიცებს, რომ აქამომდე თბილისი სცხოვრებდა მაზრის ხარჯზე საერობო საქმეში და ყოველმხრივ. რუსეთის ქალაქების გამოყოფას იქნება დიდი საბუთებიც აქვსო, მაგრამ თბილისს არავითარიო. თბილისი აქამომდე, როგორც პარაზიტი სოფლის ხარჯზე სუქდება და მე არ მაკვირვებს, რომ ეხლა ის თავის წარმომადგენლების შემწეობით გამგულტკავებულ სოფელს გაურბისო. ორატორი შეუძლებლად სცნობს თბილისის გამოყოფას მაზრიდან მანამ-კი, თუ მას დაედება გადასახადი მაზრის სასარგებლოდ.

**ჭ. ვ. ვერმიშევი** ამტკიცებს თბილისს არაფერი არ ჰმართებს არც მაზრის და არც გუბერნიისო, თვით მისგან დიდათ არის დავალებული გარშემო კუთხეებიო და სხ.

კრება 5 მაისისთვის გადაიდვა.

## წერილი ოზურგეთიდან

8—9 მაისს დანიშნულია სახალხო მასწავლებელთა კავშირის ოზურგეთის ფილიალური განყოფილების საგანგებო კრება ახალის თეატრის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სახელმძღვანელოების განხილვა, 2) ყველა სასწავლებლებში პროგრამების ერთგვარობა, 3) სახალხო კითხვების მოწყობა და 4) სამოსწავლო ნივთების საწყობისა და სამაზრო სამკითხველოს გახსნა.

—

8 მაისს დანიშნულია აგარაკ ბახმაროს მომხმარებელთა საზოგადოების „ჯანმრთელობა“-ს კრება, რომელზეც საჯარო შეჯიბრებით გაიცემა იჯარით მიმდინარე სეზონისთვის 1) ორი თვალი ფურნე, 2) საბაკალეინო დუქანი, 3) ერთი თვალი ფურნე და მასთან საბაკალეინო დუქანი, 4) საყასბო დუქანი, 5) კეკელმანი და 6) სამიკიტნო დუქანი. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის წევრთან ოზურგეთში ბ. ილიკო გოგელიასთან.

—

ოზურგეთის სამაზრო აგრონომს მოუვიდა მთავრობისაგან მცხოვრებლებზე უფასოდ დასარიგებლად გენაგეჩაკის ლობიოს (აბუსალათინის) თესლი. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ბ. ჰერმანს ოზურგეთში თესლის წასაღებად; მხოლოდ პირობა უნდა დასდვან, რომ ნაყოფს სამხედრო უწყებას მიჰყიდიან 5—6 მანეთად ფუთს.

—

29 აპრილს მოხდა ოზურგეთის საზოგადო საკრებულოს წევრთა საზოგადო კრება. გასულ წლის 1 მაისიდან 31 ქრისტიშობისთვემდე საზოგადოებას შემოსვლია:

| | |
|---|---|
| საწევრო ფული | 265 მ. — კ. |
| სათამაშო ქაღალდიდან | 1735 „ 20 „ |
| ჯარიმები | 158 „ 60 „ |
| ძველი ვალი | 91 „ 05 „ |
| სხვა და სხვა შემოსავალი | 220 „ 65 „ |
| ს უ ლ. | 2806 მ. 74 კ. |

**ხარჯები:**

| | |
|---|---|
| ბინის ქირა | 560 მ. — კ. |
| სათამაშო ქაღალდის | 629 „ 17 „ |
| პოტეფონის | 208 „ 85 „ |
| სხვა და სხვა ხარჯები | 534 „ 44 „ |
| ნაღდი ფული დარჩა | 874 „ 28 „ |
| ს უ ლ. | 2806 მ. 74 კ. |

წარმოდგენილი ანგარიში დაამტკიცა კრებამ.

ძველი ვალების აკრეფის შესახებ კრებამ ორი კვირის ვადა მისცა და შემდეგ კი სასამართლოს წესით გადაახდევინებენ, ვინც დანიშნულ დროზე არ გადაიხდის ვალს.

კრებამ უარი უთხრა თავისი წვლილის გაღებაზე შემდეგ დაწესებულებათ, რომელნიც დახმარებას სთხოვდნენ ოზურგეთის შერეულ სამრევლო სკოლას, ოზურგეთისა და კვირიკეთის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს; ბანქოს თამაში აკრძალულია და საკრებულოს შემოსავალმაც იკლო, ეს იყო მიზეზი, რომ უარი უთხრეს დახმარებაზე.

კრების დასასრულს აირჩიეს მამასახლისნი: ბ.ბ. ნ. ვ. ჩერნოვი, ს. გ. თაყაიშვილი, ბ. ვ. ხუნდაძე, ნ. ს. თაყაიშვილი, გ. ი. გოგიტიძე, ა. გ. კალანდაძე, ი. დ. ნაკაშიძე; მათ კანდიდატებად: ბ.ბ. ა. პ. აფაქიძე, ა. ს. ხორბალაძე, გ. ს. ჭყონია, დ. ვ. მგელაძე, გ. მ. ჩიჩუა, ი. კ. ნაკაშიძე და ვ. ქ. შევარდნაძე.

სარევიზიო კომისიაში დასტოვეს ძველი წევრები.

გ. ჯავახი.

## გურიის შთაბეჭდილებანი

(დასასრული, იხ. „საქართვ.“ № 101).

როგორც ვხედავთ, გურიაში ხეტად რთულ სამეურნეო პირობებთან გვაქვს საქმე. აქ ფრიად საფრთხილოა ახალი საქმის დაწყება, ვინაიდან არ იცი რომელი დარგი უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს. ამდენ ხანს მეურნეობაში საჭირო ცდისა და დაკვირვების მომხდენი იყო ისევ თითოოროლა პრაქტიკული მოღვაწე—მეურნე, რომელიც თავის ლუკმაპურ ვიწრო ჩარჩოებში მუშაობდა არა იმიტომ, რომ სხვაც წაეხალისებინა სასარგებლო საქმის შემოღებაში, არამედ სცდილობდა ამით ერთგვარი უპირატესობა და სახელი მოეხვეჭა თავის მეზობელთა შორის, ადრევე საჭირო იყო ასეთ ეგოისტურ კერძო მიდრეკილებათათვის საზღვარის დადება, მაგრამ დრო მიდიოდა და სათანადო უფლებათა და ნდობით აღჭურვილ საზოგადოების დაარსების შესახებ არაფერი ისმოდა. შარშან წელს ეღირსა გურია ასეთს რამეს და წარმოუდგენელია ის აღფრთოვანება, რომელიც სამეურნეო საზოგადოების დამფუძნებელთა პირველ კრებას გამოუწვევია. ამ საზოგადოების დაარსებით სრულიად ახალი ხანა იწყება გურულთა ცხოვრებაში. მარტოოდენ წერა-კითხვა ვერას გვიშველის, თუ სათანადოდ სოფლის დაცემული მეურნეობაც არ იქნა აღდგენილი. სასიხარულო ამას გარდა აქ ის არის, რომ გურია სდგება წმინდა პრაქტიკულ შემოქმედების ნიადაგზე და ეს უცილობლად ახალი სიტყვაა იმასთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა ამ 10—12 წლის წინად, როდესაც სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკურ საერთო ლოზუნგებში ინთქმოდა ფეხტარ-პატარა, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო მხარის არსებით საჭიროებით გამოწვეული საქმეები.

არა თუ სამეურნეო საზოგადოება, არამედ 1905 წელს ერობის შემოღების თაობაზე ოზურგეთში გამართულმა თათბირმა ერთხმად უარჰყო გრ. ვერანცოვ-დაშკოვის პროექტი და მეტის მოლოდინში ისიც დაჰკარგა, რასაც აძლევდნენ. მაგრამ შემდეგ გარემოება თანდათან იცვლება. პირველად სკოლების რიცხვის გამრავლებაში გამოიხატა ხალხის შემოქმედებითი მუშაობა, შემდეგ აარსებენ წვრილ საკრედიტო ამხანაგობათ და კოოპერატივებს, ხოლო შარშან ხსენებულ ამხანაგობათა წარმომადგენლების ყრილობაზე ოზურგეთში ხაზგასმით აღინიშნა **ერობის** შემოღების მიუცილებელი საჭიროება. ამ ყრილობაზე ნალაპარაკევში უკვე მოსჩანდა ნიშნები იმისა, რომ სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა სამეურნეო საზოგადოების დაარსება, რაც კიდევაც განახორციელეს ერთი წლის შემდეგ მოხსენებულ ყრილობისა და თავისი წარმომადგენელიც აირჩიეს საერობო თათბირზე დასასწრებლად.

ასეთია გურულთა აზროვნების ევოლიუცია ამ 10—12 წლის განმავლობაში.

ადგილობრივი მოღვაწენი ძლიერ სწუხან, რომ არ არსებობს სპეციალი საერობო ლიტერატურა ამიერ-კავკასიის ერობის შესახებ, რომ იქიდან რაიმე სახელმძღვანელო აზრები ამოიკითხოს კაცმაო. ეს ჩივილი მეტად სამართლიანია. აგერ ორმოც წელიწადზე მეტია რაც ერობის შესახებ სწერენ, მუშაობენ და წარმოიდგინეთ არც ერთი პოპულიარი გამოცემა არ არსებობს ქართულს ენაზე, რომ ხალხის ფართე წრეებიც გაეცნოს ამ ჩვენი ქვეყნისათვის ფრიად საშურ საკითხს. ამ ნაკლებულობას გრძნობენ პროვინციის მოღვაწენი და თან ერთგვარ მოუთმენლობით შენატრიან იმ დროს, როცა ერობა ხორც შესხმულ სხეულად მოევლინება გაჭირვებულ ჩვენს სოფელს და არა პლატონიურ სურვილის სფეროში დარჩება მისი საჭიროების მოთხოვნა სამუდამოდ. პროვინცია მოელის ერობას, ის მოითხოვს ჩვენ მოღვაწეთაგან რაც შეიძლება მეტი ფაქტიური მასალა გამოქვეყნდეს საქართველოს და საერთოდ ამიერ კავკასიის სპეციალ საერობო საჭიროებათა და მდგომარეობის შესახებ. საქმე და არა სიტყვა, საერთო მოქმედება და არა უნაყოფო პარტიული კინკლაობა, აი რა დომხზეა დღეს შემდგარი კერძოდ გურულთა ცნობიერებაც. ეს მათ აშკარად დაგვანახვეს სამეურნეო საზოგადოების დაარსების დღეს, და უნდა ვსთქვათ, ასეთივე განწყობილება სუფევს სხვა კუთხეებშიაც. ეკონომიურ კეთილდღეობის გაძლიერების მხიბლავი არები დღეს ყველას აღფრთოვანებას იწვევს. წმინდა საკულტურო მუშაობა ივსება და დამატებას ჰპოვებს ნივთიერ კულტურის გამდიდრების სურვილში, ხოლო ორივე ეს ერთად ჰქმნის ორგანიულ მთლიანობას ეროვნულ შემოქმედების სწორს წარმოებისათვის. ეს გარემოება, უნდა ვიფიქროთ, წინამორბედია რაღაც დიდი მომავალისა, და თუ სოფელს, მიუხედავად საშინელი განცდისა მაინც სწამს ეს მომავალი, ინტელიგენციაც ვალდებულია ხალხთან იყოს და მისი ბედით თუ უბედობით მტკიცედ ეწვოდეს გული. ასეთ იმედებშია დღეს სოფელი და უნდა ვეცადნეთ გაწევით არ ჩავუკლათ მას მოლოდინის ფართე უსაზღვრო წყურვილი.

დ. არ...ნიშიძე.

## თეატრი და ხელოვნება

**ჟურის სისხლი**. ოთხშაბათს, 1 ივნისს სახალხო სახლში ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე „ჟურის სისხლი“. ამ პიესამ საფრანგეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მთელი ევროპის პრესა აალაპარაკა.

## დაბა-სოფლები

[illegible] (...ს ხეობა). [illegible] ჩვენ სოფელს სავსებით გამოაცლევინოს სახლით სავსე ფიალა; არ გვაკმარა, რომ ხალხი დაიმშა მოუსავლობით; გვაკმარა, რომ ჯერ ისედაც სუსტ მეურნეობას მრავალი ჯანღონით საქმუშა-ვაჟკაცი ჩამოაცილა; არ გვაკმარა, რომ ყოველივე პირველ საჭიროების საგანი ერთი-სამად და ერთი ოთხად გაძვირდა და კიდევ სხვა უბედურობა დაგვატეხა თავს. უბედურობა სხვებზედ არა ნაკლები თვისი სიმკაცრით და აუნაზღაურებელ ზარალით. მე მოგახსენებთ საქონლის ჭირზე, იგი მოედო ბევრ სოფელს და დიდი ზარალიც დაატრიალა.

სოფ. ოძისშიაც იგი ძალიან იყო მოდებული აქნამდის და ბევრი მსხვერპლიც შეიწირა.

მრავალი გლეხია მწარედ დაღონებული ჩვენში; მათ დაეხოცათ რამდენიმე სული ხარი, კამეჩი, ძროხა; მეტადრე უკანასკნელის სახსენებელი ხომ თითქმის სრულებით გააწყო. მერე რა დროს? გაზაფხულის პირზე გამოკვებული ზამთარში მამასისხლად ღირებულ თივა-ბზით ბევრი ქვრივი ან ობოლი მწარედ დაღონებულია, რომელიც ან რძეს ან კარაქ-ერბოს ჰყიდდა და ხელს ინაცვლებდა.

რადგანაც სხვა სოფლები ფრთხილობენ და არ ატარებენ უცხო ფურმებს შეუძლებელი შეიქმნა ქირაზე საარული; ამ გარემოებამ მოუსპო ჩვენს გლეხობას მცირე, მაგრამ გაჭირვების დროს ხელის გამმართველი წყარო შემოსავლისა. ჩვენი გლეხი ზოგიერთ სადღესწაულო თუ სასოფლო ხარჯს იმითი ისტუმრებდა, რომ ქირით ქალაქს სადმე წავიდოდა და ფულს აიღებდა, ეხლა ესეც აღარ შეუძლიან.

საქონლის ჭირი კარგა ხნის გაჩენილი იყო სოფ. ოძისში, მაგრამ ბეითალი არსადა სჩანდა, თუმცა რამდენჯერმე გაეგზავნა მას ცნობა ამ სოფელში საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ.

შემდეგ მოვიდა, აუცრა, მაგრამ აცრილიც ბევრი დაიხოცა.

წესად არის თუ აცრილი საქონელი მოკვდა, პატრონს ეძლევა დახმარება, მაგრამ ეს დახმარება ისეთი მცირეა საქონლის ეხლანდელ ღირებულობასთან შედარებით, რომ მესამედსაც ძლივს შეადგენს.

არიან ისეთი გლეხებიც, რომელთაც საქონელი დაეხოცათ ბეითლის მოსვლამდის. მათ დახმარებას არ აძლევენ.

დაღვრემილია მწარედ სოფელი, შეუწუხებია შეზღლი და ძნელად თუ გაიღიმებს იგი. აწ კაცმა რო სთქვას სწორედ რა აქვს სასიამო ამ სისხლის წვიმების დროს“?

სოსო.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი


## გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების

ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა ყოველ 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“)

ი. ლ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვასრულებთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ პირობებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით თუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. პეტროვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოსდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს ჭრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 4.